სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

06 დეკემბერი, 2023 წ.

ბრძანება N 01-10/137

ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე" **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 29 მარტის N2 გადაწყვეტილების** და ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დირექტორის 2023 წლის 4 დეკემბრის MES 9 23 0001640134 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის მიზნით კანდიდატთა (სტაჟიორთა) შესარჩევად.
2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბსუ-ს შემდეგი საბაკალავრო პროგრამის მე-3 ან/და მე-4 სასწავლო წლის სტუდენტებსა ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს:

   ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის" და „ეკოლოგიის" საგანმანათლებლო პროგრამებიდან;

   ბ) ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „ფიზიკის" საგანმანათლებლო პროგრამიდან;

   გ) ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის „აგრარული ტექნოლოგიების" საგანმანათლებლო პროგრამიდან.
3. კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურის (კანცელარია) ან ბსუ-ს ელექტრონული ფოსტის (chancellery@bsu.edu.ge) მეშვეობით 2023 **წლის 7 დეკემბრიდან 2023 წლის 18 დეკემბრის** ჩათვლით უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

   ა) წერილობითი **განაცხადი სტაჟირებაზე (სტაჟირების გავლის წესის დანართით** გათვალისწინებული ფორმის შესაბამისად შევსებული, მათ შორის სამოტივაციო ნაწილიც);

   ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (აქტიური სტუდენტის სტატუსის შემთხვევაში) და სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემიდან ამოღებული სასწავლო ბარათი, ხოლო კურსდამთავრებულმა - დიპლომისა და სტანდარტული დანართის ასლი;

   დ) ცნობა სოციალურად დაუცველობის შესახებ (არსებობის შემთხვევაში).

4. კონკურსის წესით შეირჩეს **3 სტაჟიორი**, რომლებიც 2 თვის განმავლობაში გაივლიან არაანაზღაურებად სტაჟირებას ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტში.
5. შერჩეულმა სტაჟიორებმა სტაჟირების პერიოდში უნდა შეასრულონ ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის „აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის" დებულებით გათვალისწინებული ფუნქციები, სტაჟიორის ხელმძღვანელის მიერ დავალების ფარგლებში.
6. სტაჟირების წარმატებით გავლის შემდეგ სტაჟიორებზე გაიცეს სერტიფიკატები, ხოლო სტაჟიორთა ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე განისაზღვროს წარმატებული სტაჟიორები, რომლებიც შესაძლებელია დასაქმდნენ არაუმეტეს 6 თვის ვადით (ანაზღაურებადი სტაჟირება, ყოველთვიური ანაზღაურება განისაზღვროს შესაბამის სამუშაო ცვლებში სამუშაო დატვირთვის გათვალისწინებით, არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით).
7. სტაჟირების კონკურსის ჩატარების მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია, რომელმაც განსაზღვროს კონკურსის ჩატარების ვადები და ინფორმაცია განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე (კონკურსების ველში).
8. განცხადება სტაჟიორთა კონკურსის გამოცხადების შესახებ და წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
9. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), იურიდიულ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, შესაბამის ფაკულტეტებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
10. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**